

„რა ღირს თვითმმართველობის სერვისი?!“

პროექტის მხარდაჭერა:



ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის და ევროკავშირის მიერ

ბანმასოციალუბელი:



საქართველოს დემოკრატიული განვითარების
კავშირი

პროექტის არსი

- ❖ პროექტის ძირითადი ამოცანები (სხვა აქტივობებთან ერთად) მოიცავს ქალაქ ოზურგეთისა და, საკუთრივ, ოზურგეთის თემის მუნიციპალიტეტთა საბიუჯეტო ორგანიზაციების (უპირატესად, ა(ა)იპ-ებისა და შ.პ.ს.-ების) საქმიანობის მონიტორინგს;
- ❖ მონიტორინგის ნაწილი ვრცელდება ასევე აღნიშნული საბიუჯეტო ორგანიზაციების ბიუჯეტის ფორმირებისა და ანგარიშგების პროცესზეც;
- ❖ შესაბამისად, პროექტის ერთ-ერთ მთავარ ვალდებულებას წარმოადგენს ქალაქ ოზურგეთისა და ოზურგეთის თემის მუნიციპალიტეტების საბიუჯეტო ორგანიზაციათა მიერ ფინანსური სახსრების დანიშნულებისამებრ გამოყენებაზე გრძელვადიანი ნორმატიული და სამართლებრივი პლატფორმის შექმნა ან ამოქმედება.

პროექტის მთავარი მიზანი:

- მიღწეულ იქნეს სამიზნე მუნიციპალიტეტების (ოზურგეთი, ქალაქი ოზურგეთი) საბიუჯეტო ორგანიზაციათა ფინანსური გამჭვირვალობა, რომელიც დაფუძნებულია საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივ საჭიროებასა და ანგარიშვალდებულების პრინციპზე.

საბიუჯეტო ორგანიზაციების წლიური დაფინანსების ფორმირება კანონმდებლობის მიხედვით

- დასაგეგმი წლის წინა წელს თვითმმართველობის საფინანსო ორგანო, ამავე წლის 15 ივლისამდე, მიიღებს რა ცნობებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან დასაგეგმი საბიუჯეტო წლის ძირითადი საბიუჯეტო პარამეტრების შესახებ, დაიანგარიშებს შემოსულობებისა და გადასახდელების საპროგნოზო მაჩვენებლებს და იწყებს შესაბამის პროცედურებს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის შესადგენად;
- ბიუჯეტის პროექტის მომზადების მიზნით, შესაბამისი საფინანსო ორგანო საბიუჯეტო ორგანიზაციებს უგზავნის საბიუჯეტო განაცხადის ფორმებს ასიგნებებისა და მომუშავეთა რიცხოვნობის საორიენტაციო ბღვრული მოცულობების მითითებით.

თვითმმართველი ერთეულის საბიუჯეტო ორგანიზაციების საბიუჯეტო განაცხადი

თვითმმართველობის შემთხვევაში საბიუჯეტო ორგანიზაციების საბიუჯეტო განაცხადის ფორმას, როგორც წესი, თავად თვითმმართველი ერთეული განსაზღვრავს.

საბიუჯეტო განაცხადი უნდა შეიცავდეს არანაკლებ შემდეგ ინფორმაციას:

ა) გასული, მიმდინარე და დასაგეგმი საბიუჯეტო წლებისათვის:

- 1) პროგრამებისათვის/ქვეპროგრამებისათვის გათვალისწინებული ასიგნებების გაანგარიშებას საბიუჯეტო კლასიფიკაციის (გარდა პროგრამული კლასიფიკაციისა) ყველაზე დაბალი თანრიგის მიხედვით;
- 2) ასიგნებების გაანგარიშებას პროგრამული კლასიფიკაციის მიხედვით;
- 3) საბიუჯეტო ორგანიზაციისათვის საპროგნოზო დასაქმებულთა რიცხოვნობას;
- 4) ინფორმაციას დონორების მიერ დაფინანსებული პროექტებისა და ამ პროექტების თანადაფინანსებისა და თანამონაწილეობისათვის გათვალისწინებული ასიგნებების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ბ) დასაგეგმი საბიუჯეტო წლისათვის და დასაგეგმისშემდგომი სამი საბიუჯეტო წლისათვის ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებებიდან განსახორციელებელ პროგრამებს / ქვეპროგრამებს, მათ დაფინანსებას, აღწერას და მიზნებს;

გ) ინფორმაციას კაპიტალური პროექტების შესახებ.

(იხ. საქართველოს კანონი „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“, მუხლი 77)

საბიუჯეტო განაცხადის სარგებლიანობა:

- ხელს უწყობს, მოახდინოს თვითმმართველობის ყველა საბიუჯეტო დანესებულების საპროგნოზო ხარჯების იდენტიფიცირება, – დანყებული წვრილი სახეობის ხარჯებიდან, დასრულებული კაპიტალური პროექტებით, – მინიმუმ 3 საბიუჯეტო წლის დინამიკაში;
- ავლენს ლოგიკურ ბმას ხარჯის საჭიროებასა და საბიუჯეტო წლის განმავლობაში განსახორციელებელ საქმიანობას შორის;
- აზუსტებს საბიუჯეტო სახსრებით დაფინანსებულ დასაქმებულთა რიცხოვნობას და ადგენს საშტატო და შტატგარეშე თანამდებობრივ ნუსხას;
- ეხმარება თვითმმართველობის საფინანსო ორგანოს, სწორად დაგეგმოს ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი და რაციონალურად გადაანაწილოს საბიუჯეტო სახსრები;
- ქმნის პროგრამული ბიუჯეტის რელსებზე გადასვლის წინაპირობას...

თვალსაჩინოება: შპს „ტექნოსერვისი“-ს საბიუჯეტო განაცხადი (ოზურგეთის მუნიციპალიტეტი)

შპს „ტექნოსერვისი“

აშ სტატისტიკის ბაზა GR50BG000000076704200 ს/კ 207133379 ტელეფონი: 57741 15 20

№13 7 ნოემბერი 2014წ

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს
ზატონ მერაბ ქაჩუცვაძეს

ზატონ მერაბ,

მუნიციპალიტეტის სოფლებში სხვადასხვა სატრანსპორტო საშუალებების მოძიების მიხედვით განსაზღვრულადაც 2015 წლის ბიუჯეტში საფარუდითი კაზონის გათვალისწინება 100000 ლარით, რომელიც დახარჯული იქნება შემდეგი დანიშნულებით:

1. ღორღის ფრასკის შესახად 25500 ლარი დღგ-ს ჩაიჯღოს.
2. საწვავის შესახად 35000 ლარი დღგ-ს ჩაიჯღოს.
3. საბინო, საცხი და სხვა ტექნიკური სპეციალურების მომსახურებისათვის 9500 ლარი დღგ-ს ჩაიჯღოს.
4. ხელფასისათვის - 29500 ლარი სამუშაოვანი გადასახადის ჩაიჯღოს.

კაზონი გათვალისწინება.

პატრიკაძის დავით ჩუქურჩუაძე: 



მსგი ეფერბარა ზეზინა 

ზოგადი დასკვნები საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საბიუჯეტო განაცხადების წარმოებასთან დაკავშირებულ საკითხზე

- ❑ უმეტეს შემთხვევაში საბიუჯეტო ორგანიზაციების მხრიდან საბიუჯეტო განაცხადების წარდგენის პროცესი ქაოტურ ხასიათს ატარებს;
- ❑ თითქმის ყველა მუნიციპალიტეტი თავისი შეხედულებისამებრ შემუშავებული საბიუჯეტო განაცხადების ფორმის მიხედვით ახდენს მათ შევსებას;
- ❑ არ არსებობს რაიმე წინასწარ დადგენილი სტანდარტული წესი ან ინსტრუქცია, რომლის საფუძველზეც მოხდება მუნიციპალიტეტების ბიუჯეტის პროექტით გამოსაყოფ ასიგნებებზე საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ წარსადგენი საბიუჯეტო განაცხადის ფორმების განსაზღვრა, მათი შევსება თუ გამგეობის/მერიის საფინანსო სამსახურისთვის წარდგენა;
- ❑ თითქმის ყველა შემთხვევაში საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საბიუჯეტო განაცხადები არასრულყოფილადაა წარდგენილი, რამეთუ მათში სრულად არ არის ასახული საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით გათვალისწინებული გემოაღნიშნული სავალდებულო ინფორმაცია.

საბიუჯეტო ორგანიზაციების ანგარიშგება კანონმდებლობის მიხედვით

- ▶ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში, სხვა ინფორმაციის გვერდით, უნდა მოიცავდეს ასევე წლიური ბიუჯეტით დასახული პრიორიტეტების თარგმლებში საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული პროგრამების/ ექვეპროგრამების აღწერას და მიღწეულ შედეგებს და, ამავედროულად, საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ბიუჯეტების შესრულების წლიურ მაჩვენებლებს (იხ. საქართველოს კანონი „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“, მუხ. 87);
- ▶ თვითმმართველი ერთეულის (გარდა ქ. თბილისისა) საბიუჯეტო ორგანიზაციები ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს ადგენენ საბიუჯეტო კოდექსის მოთხოვნების გათვალისწინებით, საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტის საფუძველზე (იხ. საქართველოს კანონი „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“, მუხ. 15.2)

აქედან გამომდინარე:

თვითმმართველობის საბიუჯეტო ორგანიზაციები (მათ შორის ა(ა)იპ-ები და შპს-ები) ვალდებული არიან, ყოველწლიურად მიაწოდონ თვითმმართველობის აღმასრულებელ ორგანოს შესრულებული სამუშაოს წლიური ანგარიში, რომელიც მოიცავს როგორც ფინანსურ, ისე შინაარსობრივ (ნარატიულ) ნაწილს.

თვალსაჩინოება: შპს „მუნიციპალური ტრანსპორტი“-ს 2014 წლის საქმიანობის შინაარსობრივი ანგარიში

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საწარმო- შ.პ.ს. „მუნიციპალური ტრანსპორტი“

ს. გ. ბ. რ. ა. 1 3 5 5 3 4 4 2 5 0 3

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საწარმო- შ.პ.ს. „მუნიციპალური ტრანსპორტი“ 7 წლის განმავლობაში ემსახურება სამგზავრო სატრანსპორტო საზარზე კონკრეტული გარემოს შექმნის გზით მგზავრთა უსაფრთხო კომფორტული და იაფი მიროსებით უზრუნველყოფას. საწარმო მუნიციპალიტეტის გამგეობასთან შეთანხმებით გამსახდრავს ეკონომიკური განვითარების წლიურ და პერსპექტიულ გეგმებს. 2008 წლიდან განაგრძობს მუშაობას მოსახლეობისათვის ხელსაყრელი დაბალი ფასებით და ტარიფებით ემსახურება მოსახლეობას შემდეგი მარშრუტებით: ღობაური, უღმათი, შუშოქედი, ვაკოჯვარი, ასკანა, ჯოჯორეთის, დაბა ლაიაური, დაბა წარუჯა და დაბა ქაქუთის მიმართულებით. ამ ხნის მანძილზე უწყასო მომსახურების უწყვეს პედაგოგებსა და ზაფხუგებს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან ობიექტური რეალობიდან გამომდინარე თქვენს არაერთი დახმარებისა და გულისხმიერებისა დიდ კმაყოფილებას გამოთქვამს მოსახლეობის 6 სოფელი და 3 დაბა განსაკუთრებით პედაგოგები და რამოდენიმე სოფელი მოგვსართავს თხოვნით, დასატებითი სამგზავრო სატრანსპორტო (ავტობუსის) დანიშნვის შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გთხოვთ გაცუზარდოთ 2015 წლის ბიუჯეტი (მოსახლეობის მიმართის ხელწერების საფუძველზე) გასწევი მომსახურება შემდეგ მარშრუტებზე:

დაბა - ქაქუთიდან მოსწვლელების გადაყვანა ქაქუთის საჯარო სკოლაში და სკოლაშდელი ბებუნების საზაფხუო საგა საღსი.

ოზურგეთიდან - დაბა წარუჯის საჯარო სკოლაში პედაგოგების მომსახურება. (მშდოლის ხელფასი და საწვავი 10 თვეზე).

ოზურგეთიდან - სოფელი ასკანაში ავტობუსით მგზავრთა მომსახურების მიზნით: (საბურავების 6 ცადის შესახებ, და ავტობუსის რემონტის ხარჯი).

შ.პ.ს. „მუნიციპალური ტრანსპორტი“-ს საწარმოში აველიერლობიდან გამომდინარე ვებორგამხულობის მუხლიში: ინტერნეტის დიდება, მომსახურებისათვის.

შ.პ.ს. „მუნიციპალური ტრანსპორტი“-ს

დირექტორი:   **ს. გ. ბ. რ. ა. 1 3 5 5 3 4 4 2 5 0 3**

სხვი ფედანთან სწილთ



თვალსაჩინოება: ა(ა)ი.პ. „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრი“ 2014 წლის საქმიანობის შინაარსობრივი ანგარიში



ს ა ქ ა რ თ ვ ე დ ი

ა(ა)ი.პ. ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრი

KING LP - CULTURE AND STUDENT-YOUTH CENTER OF OZURGETI CITY MUNICIPALITY

2014 წლის გაწეული ხარჯები

ნაშთი 411 ლარი 01.01.2014

№28
18 აგვისტო 2015 წელი

ქ. ოზურგეთი ვაჟა-ფშაველას ქ. № 18
ნაბ. 985 30-9046

ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურის უფროსს ქალბატონ მარცა მაცეცაძეს

ქალბატონ მარცა

ვეუბნებთ: ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის და ა(ა)ი.პ. ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის 2014 წელში გაწეული ხარჯების ჩამონათვალი

დარილი 1 დღეაღად

ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის დირექტორი



სასხელაძე

1. შრომის ანაზღაურება 285107 ლარი
 - 1.1 ხელფასი 285107 ლარი
2. მივლინება ქვეყნის მიგზიო 2228 ლარი
3. საფინანსო ხარჯი 7102 ლარი
 - 3.1 ინტერნეტის ხარჯი 840 ლარი
 - 3.2 საკანცელარიო საქონლის შეძენა 728 ლარი
 - 3.3 კაემპორგამზადების ხარჯი 1310 ლარი
 - 3.4 შეღებრივი აირის ხარჯი 713 ლარი
 - 3.5 ელექტრო ენერჯის ხარჯი 400 ლარი
 - 3.6 სამუშაოზე საქონლის შეძენა 285 ლარი
 - 3.7 კარტრიჯების დატუმბვა 175 ლარი
 - 3.8 ავეჯის შეძენა (სკამები, მაგიდეები) 2650 ლარი
4. საჭკავი 2969 ლარი
5. სხვა დინარშენი საქონელი და მომსახურება 50973 ლარი
 - 5.1 წარმომადგენლობითი და დონისძიების ხარჯები 46942 ლარი
 - 5.2 მენობა-ნიცეზობის დაცვის ხარჯი 3600 ლარი
 - 5.3 ბანკისი 265 ლარი
 - 5.4 სხვადასხვა ხარჯი 166 ლარი
6. არაფინანსური იტვივების ზრდა 1605 ლარი
7. უნიფორმა 3400 ლარი
- 7.1 ანსამბლის ფორმები 3400 ლარი
8. მიღებული დაფინანსება 352972 ლარი
 - 8.1 სუბსიდია 302533 ლარი
 - 8.2 სოც კულტურული 50439 ლარი

სულ საკასი ხარჯი 353383 ლარი

თვითმმართველი ერთეულის საბიუჯეტო ორგანიზაციების ანგარიშგების პროცესის ხარვეზები

- ❑ მიუხედავად კანონმდებლობით დადგენილი ვალდებულებისა, საქართველოს ფინანსთა მინისტრს არ აქვს გამოცემული შესაბამისი სამართლებრივი აქტი, რომელიც მოაწესრიგებს თვითმმართველი ერთეულის (გარდა ე. თბილისისა) საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის წარმოდგენის საკითხს;
- ❑ თვითმმართველობის ორგანოები ნაკლებად (ან თითქმის არ) ცდილობენ შექმნან სტანდარტული ანგარიშგების ფორმა თავიანთი საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის და სრულ სისტემატიზაციაში მოიყვანონ ანგარიშვალდებულების პროცესი (შესაძლოა, აღნიშნული, ხშირ შემთხვევაში, არაკომპეტენტურობის ბრალიც იყოს);
- ❑ თავის მხრივ, თვითმმართველობის საბიუჯეტო ორგანიზაციები საკუთარი ინტერპრეტაციით წარადგენენ წლიურ ანგარიშს, რომელიც, უმეტესწილად, მათი საქმიანობის გამჭვირვალობის პროცესს მოკლებულია (მაგალითად, ობიექტის მუნიციპალიტეტებში საბიუჯეტო ორგანიზაციები უმთავრესად მხოლოდ ფინანსურ ანგარიშს წარადგენენ, რომელიც მხოლოდ საბიუჯეტო კოდებით არის განერილი (ზოგჯერ ისიც უგულვებელყოფილია));
- ❑ რაც შეეხება შინაარსობრივ ანგარიშს, იგი ყველაზე ცუდ შემთხვევაში ან საერთოდ არ არსებობს, ან კიდევ (საუკეთესო შემთხვევაში) მისი შესრულების დონე აშკარად უკეთესის სურვილსა და ერთიანი სტანდარტების ჩარჩოებში მოქცევის მიზანშეწონილობის (აუცილებლობის) განცდას ტოვებს;
- ❑ თვითმმართველობების საბიუჯეტო ორგანიზაციების შინაარსობრივად გაუმართავი და, შედეგადად თვალსაზრისით, არათრისმთქმელი ანგარიშების ფონზე, ფაქტობრივად, ძნელად წარმოსადგენია თავად თვითმმართველობის აღმასრულებელი რგოლის სრულყოფილი წლიური ანგარიშგების პროცესი ფისკალური წლის განმავლობაში;
- ❑ როგორც წესი, შინაარსობრივი ანგარიშის არარსებობა, ან თუნდაც მისი შესრულების არადაამაკმაყოფილებელი დონე პირდაპირ მიუთითებს დაგეგმვისა და საქმიანობის განხორციელების დაბალ ხარისხზე და ართულებს საკუთრივ მუნიციპალიტეტის მიერვე ზედამხედველობის ფუნქციის განხორციელებას.

რეკომენდაციები:

- ▶ წარმოდგენილი ხარვეზების დასაძლევად და თვითმმართველობების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბიუჯეტის ფორმირებისა და ანგარიშგების პროცესის გასაჭანსალებლად, აუცილებლად გასატარებელ ღონისძიებათა რანგს განეკუთვნება ფინანსთა მინისტრის მიერ სამართლებრივი აქტების გამოცემა არა მხოლოდ საბიუჯეტო ორგანიზაციების ბიუჯეტის შესრულების ანგარიშთან დაკავშირებით (რაც კანონის მოთხოვნაა), არამედ ასევე ამავე ორგანიზაციებისთვის საბიუჯეტო განაცხადების ტიპური ფორმების შემუშავებასთან დაკავშირებულ საკითხზე (თუნდაც რეკომენდაციის დონეზე განკუთვნილი თვითმმართველობებისთვის). ამით, თაქტობრივად, დაცული იქნება საქართველოს საბიუჯეტო სისტემის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი – ერთიანობა, რომელიც განსაზღვრავს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების მიერ საერთო საფუძვლით, ერთიანი საბიუჯეტო კლასიფიკაციით, აღრიცხვის ერთიანი სისტემით, სახელმწიფო ფინანსური კონტროლის ერთიანი პრინციპებით ხელმძღვანელობას;
- ▶ საკანონმდებლო ვაკუუმის პირობებში, ადმინისტრირების სათანადოდ განხორციელების მიზნით, აუცილებელია მუნიციპალიტეტების საბიუჯეტო ორგანიზაციების საქმიანობის წესები და ნორმები (მათ შორის განსაკუთრებით საბიუჯეტო განაცხადების წარმოდგენისა და ანგარიშგების პროცესის მარეგულირებელი წესები და პროცედურები) დეტალურად იყოს განვრცობილი და რეგლამენტირებული;
- ▶ ამ მიზნით, ჩვენმა ორგანიზაციამ უკვე წარუდგინა რეკომენდაციები ოზურგეთის ორივე მუნიციპალიტეტის ადგილობრივ ხელისუფლებას ე.წ. საბიუჯეტო განაცხადების ტიპური ფორმების შემოღების საკითხზე, რომელიც შემუშავებულ იქნა ჩვენ მიერ და რომელიც მოცემულ ეტაპზე ორივე მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მონახებულ იქნა.

გმადლობთ ყურადღებისთვის